



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“

სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა
2018-2023 წ



 ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. #2

 +(995) 595 50 67 32

 ssipjvari@gmail.com

2018 წ

მისია

პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვით უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული განათლების მაღალი დონის მიღწევას რეგიონისა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის. კოლეჯი ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და დასაქმებაზე.

ხედვა

მოქნილი საგანმანათლებლო დაწესებულება, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, და საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც წამყვანი იქნება რეგიონში, ექნება მაღალი ნდობა და აღიარება.

ღირებულებები

კოლეჯი, პროფესიული განათლების როლის გათვალისწინებით სტრატეგიას აფუძნებს შემდეგ ღირებულებებსა და პრინციპებზე:

- სწავლების ინოვაციური მიდგომები
- კეთილსინდისიერებაზე, სამართლიანობაზე, პასუხისმგებლობასა და ურთიერთანამშრომლობაზე დამყარებული პროფესიული სწავლება
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ პროფესიული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დაწესებულებაა სამეგრელოს რეგიონში. მას გააჩნია არსებობის მრავალწლიანი ისტორია

კოლეჯის ისტორია

კოლეჯი „ლაკადა“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო.

პროფესიულ კოლეჯს „ლაკადა“ რამდენიმე ათეული წლის გამოცდილება აქვს. ის დაარსდა 1983 წელს, როგორც პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი. არსებობის პერიოდში სტატუსი რამდენიმეჯერ შეიცვალა. კერძოდ, 1993 წელს მრავალდარგოვან სახელმწიფო კოლეჯად გადაკეთდა, 2007 წელს პროფესიული სწავლების ცენტრად. 2011 წლის მაისიდან კი ფუნქციონირებს, როგორც სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“. ახლად დაარსებული პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულების 90 % საქმდებოდა ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის მშენებობაზე და მათ დიდი პროფესიული წარმატებები ჰქონდათ აღნიშნულ წლებში.

კოლეჯი დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე: ქ.ჯვარი, ყაზბეგის N 2

<p style="text-align: center;">ძლიერი მხარე</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამების განმახორციელებელი პერსონალი; • ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერა • კეთილმოწყობილი, თანამედროვე სასწავლო გარემო; • საკუთარი შენობა 	<p style="text-align: center;">შესაძლებლობები</p> <ul style="list-style-type: none"> • სწავლების ხარისხზე ორიენტირება • შრომის ბაზრის შესაბამისი კადრების მომზადება • შრომის ბაზრის კვლევა • პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება • ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით სტარტაპების ჩამოყალიბება • ინოვაციური ლაბორატორიის საშუალებით ინტეგრირებული სასწავლო პროგრამების განვითარება სხვადასხვა სპეციალობებში
<p style="text-align: center;">სუსტი მხარეები</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტების მცირე კონტინგენტი; • აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე სარეკლამო კამპანიის შეზღუდული მასშტაბები ; • ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობები და ახალი ტექნოლოგიების მაღალი ხარჯი; • სასწავლო პროგრამების შედგენაში და განვითარებაში დამსაქმებლების სუსტი ჩართულობა; 	<p style="text-align: center;">საფრთხეები</p> <ul style="list-style-type: none"> • ეკონომიკური ზრდის შესაძლო შენელება • ხშირი ცვლილებები სისტემაში • სტუდენტების საბაზო და საშუალო განათლების დაბალი დონე • მიგრაციის პროცესები • რეგიონის სოციალ-ეკონომიური ფონი

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

კოლეჯის გრძელვადიანი განვითარების წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს მიღწეული წარმატებების თვისობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანას, კონკურენტუნარიანობის ზრდის პირობებში.

სტრატეგიული მიზანი 1. პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება

არსებული მდგომარეობის აღწერა

ფორმალური სწავლების მიმართულებით, კოლეჯი ახორციელებს მესამე საფეხურის 2 საგნობრივ და 5 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას.

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მოდულური
2. კონდიტერი	საგნობრივი
3. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	საგნობრივი
4. ინფორმაციის ტექნოლოგია	მოდულური
5. ელექტრობა	მოდულური
6. ფილამწყობი	მოდულური
7. ზეინკალ-სანტექნიკოსი	მოდულური

არაფორმალური განათლების ფარგლებში ხორციელდება მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები:

1. კალატოზი-მებათქაშე
2. შემდუღებელი
3. მაღალი ძაბვის ელექტრიკოსი
4. ელექტრიკოს-შემდუღებელი
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი
6. წყალმომარაგებისა და წყალარინების ტექნიკოსი

სტრატეგიული ამოცანები:

1. ხარისხის მართვის პოლიტიკის განვითარება
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მიმართულებით მოთხოვნადი სწავლის სფეროებში და მათი სრულად გადაყვანა მოდულურ პროგრამებზე;
3. მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება;
4. საზღვირსპირა და ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა

5. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.
6. ინკლუზიური განათლების ინტეგრირება და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ახალი მექანიზმების დანერგვა.
7. მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი გაზრდა.

ინდიკატორები:

1. გაზრდილია პროგრამების რაოდენობა და დასაქმების მაჩვენებელი.
2. გაუმჯობესებულია პროგრამების დანერგვის ხარისხი.
3. გაზრდილია სტუდენტთა რაოდენობა ,მათ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან
4. გაუმჯობესებულია ინკლუზიური განათლების სასწავლო გარემო.
5. გაზრდილია გადამზადების პროგრამების რაოდენობა
6. გაზრდილია საერთაშორისო გამოცდილების მიზნით გაცვლითი პროგრამების რაოდენობა.

შემოწმების წყარო: პროგრამების კატალოგი, სტატისტიკური ინფორმაცია, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები.

სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ მდებარეობს წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ. ჯვარში ყაზბეგის ქ. N2, რომლის საერთო ფართი (შეადგენს 3136კვ.მ. და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობა N1 განაშენიანების ფართი-476კვ.მ. 2014 წლის 13 ივნისს გადმოგვეცა 2411.00კვ.მ.მიწის ფართი განაშენიანების ფართით N1-179-72კვ.მ (სახელოსნოებისთვის).

არსებული მდგომარეობის აღწერა:

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ მდებარეობს ჯვარი ყაზბეგის ქN2,

შენობა სამსართულიანია რომლის საერთო ფართი შეადგენს 3136კვ.მ (საკადასტრო კოდი 47. 14 .41. 024) მასზე განლაგებული შენობა -ნაგებობებით.

შენობის პირველი სართულის საერთო ფართი -421.42კვ.მ.

მათ შორის

- სასწავლო ფართი არის 209,4.1 კვ.მ.
- ადმინისტრაციის ფართი 20,5კვ.მ.
- მედდის ოთახის ფართი 20.88კვ.მ.
- დამხმარე ფართი 183,64 კვ.მ.

შენობის მეორე სართულის საერთო ფართი არის 421,42 კვ.მ.

მათ შორის

სასწავლო ფართი- 132,70 კვ.მ.

ადმინისტრაციის ფართი- 53,14 კვ.მ.

ლაბორატორია 20,88 კვ.მ.

დამხმარე ფართი 190,34 კვ.მ.

ლაბორატორია-58,24 კვ.მ.

შენობის მესამე სართულის საერთო ფართი არის 421,42 კვ.მ.

მათ შორის

სასწავლო ფართი- 132,72 კვ.მ.

ბიბლიოთეკა 32,85- კვ.მ.

დამხმარე ფართი 175,6 კვ.მ.

საკონფერენციო 93,184 კვ.მ

საერთო საცხოვრებლის მშენებლობისთვის გადმოგვეცა 90000კვ.მ -მიწის ფართი.

სასწავლო აუდიტორია- 10, მათ შორის:

A გარემო - 3

B გარემო -2

C გარემო-5

სასწავლო გარემო სრულად შეესაბამება პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს. კერძოდ; აუდიტორიებში განთავსებულია დემონსტრირების ციფრული საშუალებები, კომპიუტერი მასწავლებლისათვის. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით.

სტრატეგიული ამოცანები:

1. ელექტრონული სწავლების სისტემის განვითარება;
2. დისტანციური სწავლების დანერგვა და განვითარება;
3. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო ფართის გაზრდა.
4. სასწავლო სახელოსნოების მუდმივი განახლება.
5. სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა
6. ბიბლიოთეკის განახლება
7. სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობაში გადმოცემა
8. დამატებითი ნაგებობების მშენებლობა (კვების ობიექტი)

ინდიკატორები:

1. შექმნილია სწავლების ელექტრონული სერვისები
2. აშენებულია და ამოქმედებულია საერთო საცხოვრებელი
3. აშენებულია გარეთა სახელოსნოები
4. გაზრდილია სასწავლო ფართი
5. სასწავლების მფლობელობაშია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა
6. განახლებულია ბიბლიოთეკა , შექმნილია ელექტრონული ბიბლიოთეკა
7. აშენებულია და მოქმედებულია ნაგებობა კვების ბლოკისთვის

შემოწმების წყარო:

წლიური ანგარიშები, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები, შენობა - ნაგებობის დათვალიერება.

რისკები : ფინანსების შეზღუდვა, კანონმდებლობაში ცვლილებები

სტრატეგიული მიზანი : 3 ადამიანური რესურსებისა და მართვის სისტემების განვითარება

1. მართვის სისტემის გაუმჯობესება
2. ადამიანური რესურსის გაძლიერება და სასწავლო პერსონალის მომზადება
3. თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ზრდის მექანიზმების შემუშავება.
4. პედაგოგთა სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმების განსაზღვრა.
5. სარეზერვო ადამიანური რესურსის მომზადების გეგმის შემუშავება.

ინდიკატორები;

1. თანამშრომელთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს სასწავლებლის სტრატეგიულ გეგმის მიზნებს.
2. გაზრდილია პროგრამის განმახორციელებელი პირების კომპეტენცია.
3. შემცირებულია კადრების გადინება.

შემოწმების წყარო:

წლიური ანგარიშები, ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშები, სტატისტიკური ინფორმაცია

სტრატეგიული მიზანი 4. ეკონომიური საქმიანობის ორგანიზაცია

სტრატეგიული ამოცანები:

1. დაფინანსების წყაროების მოძიება
2. სასწავლო საწარმოების დაფუძნება

ინდიკატორები

1. დაფუძნებულია სასწავლო საწარმოები
2. გაზრდილია შემოსავლის წყაროები

შემოწმების წყარო

სასწავლებლის ბიუჯეტი

წლიური ანგარიშები

სსიპ პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“

2018-2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი

სტრატეგიული ამოცანა		განხორციელების წლები						პასუხისმგებელი	შენიშვნა
		2018	2019	2020	2021	2022	2023		
სტრატეგიული მიზანი 1. პროფესიული სწავლების ხარისხის გაუმჯობესება									
1.1	ხარისხის მართვის პოლიტიკის განვითარება	x	x	x	x	x	x	ხარისხის მართვის მენეჯერი/ დირექტორი ადმინისტრაცია	
1.3	მოდულური და დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება- განხორციელება	x	x	x	x	x	x	ხარისხის მართვის მენეჯერი/ დირექტორი/ ადმინისტრაცია	
1.4	საზღვირსპირა და ოკუპირებული ტერიტორიაზე მცხოვრებთათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	x	x	x	x	x	x	ადმინისტრაცია	
1.6	ინკლუზიური განათლების ინტეგრირება და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ახალი მექანიზმების დანერგვა.			x	x	x	x	ადმინისტრაცია	
1.7	მომზადება-გადამზადების პროგრამების შემდგომი გაზრდა	x	x	x	x	x	x	ადმინისტრაცია	
სტრატეგიული მიზანი 2. ინფრასტრუქტურის განვითარება									
2.1	ელექტრონული სწავლების სისტემის განვითარება;	x	x	x	x	x	x	ადმინისტრაცია	
2.2	ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით მიზნით სასწავლო ფართის გაზრდა.		x	x	x	x	x	ადმინისტრაცია	
2.3	სასწავლო სახელოსნოების განახლება ტექნოლოგიურ განვითარებისთან შესაბამისობაში	x	x	x	x	x	x	ადმინისტრაცია	
2.4	სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობა	x	x					ადმინისტრაცია	
2.5	დამატებითი ნაგებობების მშენებლობა (კვების ბლოკი)			x	x	x	x	ადმინისტრაცია	
2.6	ბიბლიოთეკის განახლება		x	x	x			ადმინისტრაცია	

2.7	სასოფლო სამეურნეო მიწის მფლობელობაში გადმოცემა			x	x			დირექტორი	
სტრატეგიული მიზანი 3. ადამიანური რესურსები და მართვის განვითარება									
3.1	ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება;	x	x	x	x	x	x	ხარისხის მართვის მენეჯერი	
3.2	ადამიანური რესურსების მართვის ეფექტურობის გაზრდა	x	x	x	x	x	x	დირექტორი / ადმინისტრაცია	
3.3	პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის მუდმივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შექმნა, როგორც სასწავლებლის ბაზაზე, ისე საწარმოში	x	x	x	x	x	x	დირექტორი / ადმინისტრაცია	
3.4	თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ზრდის მექანიზმების შემუშავება.				x	x	x	დირექტორი ადმინისტრაცია	
3.5	პროფესიულ მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის კრიტერიუმების განსაზღვრა.			x	x	x	x	დირექტორი ადმინისტრაცია	
სტრატეგიული მიზანი 4. ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია									
4.1	დაფინანსების წყაროების მოძიება			x	x	x	x	ს/სამსახური დირექტორი	
4.2	სასწავლო საწარმოების დაფუძნება და განვითარება	x	x	x	x	x	x	დირექტორი/ ადმინისტრაცია	

სტრატეგიული მიზანი 5. მონიტორინგი და შეფასება

შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ყოველკვარტალური ანგარიშების საფუძველზე, მონიტორინგის პროცესში მენეჯმენტი რეგულარულად მიადევნებს თვალყურს სტრატეგიის შესრულებას, რაც დაეხმარება განხორციელების პროცესის კორექტირებისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში.

კვარტალური ანგარიშების საფუძველზე, დგება კოლეჯის საქმიანობის წლიური ანგარიში, რაც ქვეყნდება საჯაროდ, კოლეჯის ვებ-გვერდზე.

კოლეჯის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სამოქმედო გეგმებისა და მისი შესრულების წლიური ანგარიშების შემუშავებაზე. აღნიშნული ანგარიშები ასახავს სტრატეგიის განხორციელების სტატუსს, ანგარიშის შედგენის პერიოდისათვის და წარმოადგენს სტრატეგიის მონიტორინგის მექანიზმს.

6. სამოქმედო გეგმა

კოლეჯი სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან დაგეგმვასა და განხორციელებას უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის საფუძველზე, რომელიც გათვლილია ერთწლიან პერიოდზე. სამოქმედო გეგმის მიზანია დეტალურად განისაზღვროს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც კოლეჯი გეგმავს მოცემული დროის პერიოდში. გადაწყვეტილებები დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით მიღებული იქნება საჭიროებების და კოლეჯის ბიუჯეტის გათვალისწინებით.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმები შემუშავდება ყოველი საანგარიშო წლის დაწყებისას, რა დროსაც მხედველობაში მიიღება წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და წინამდებარე სტრატეგიული განვითარების გეგმა.